ცხადდება კონკურსი
პორტოს უნივერსიტეტში (პორტუგალია)
ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

განაცხადების მიღება იწარმოებს **ა/წ 15 აპრილის 23:59 (CET) საათამდე** შემდეგი ვებ-გვერდის საშუალებით:
https://mind23.up.pt/
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტებს, რომლებიც 2024/2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში იმყოფებიან **ბაკალავრიატის** მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე, **მაგისტრატურის** პირველ და მეორე, **დოქტორანტურის** პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სემესტრში, ასევე **აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს.**

მიმართულებები (ინგლისურენოვანი ან პორტუგალიურენოვანი):
https://mind23.up.pt/courses

სტუდენტები:

- სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ეკონომიკა და ბიზნესი;
- იურიდიული;
- ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები;
- მედიცინა;

აკადემიური პერსონალი:

- სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებები;
- ჰუმანიტარული მეცნიერებები;
- ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ეკონომიკა და ბიზნესი;
- იურიდიული;
- ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები;
- მედიცინა;

ადმინისტრაციული პერსონალი:

- პერსონალის მართვა;
- საგარეო ურთიერთობები;
- ბიბლიოთეკა;

<u>სტიპენდიატთა შესარჩევი პროცესი:</u>

- შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

<u>სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>
<u>სტუდენტები:</u>

1. ფოტო;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. პასპორტის ასლი;
4. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
5. ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
6. ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ენის საერთაშორისო სერთიფიკატი (FCE, IELTS, TOEFL - მინიმუმ B2 დონე, აღებული უკანასკნელი 4 წლის მანძილზე) ან თსუ-ს მიერ 2023/2024 სასწავლო წელს ორგანიზებული ინსტიტუციური ენის ტესტირების ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა);
7. CV-ს ევროპული ფორმატი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ორი გვერდისა);
8. მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე, ავსებთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმაში);
9. მასპინძელ უნივერსიტეტში ასარჩევი საგნების ჩამონათვალი (გაიარეთ კონსულტაცია თქვენი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში და მხოლოდ ამის შემდეგ შეავსეთ ონლაინ აპლიკაციაში მოცემული ფორმა);
10. ერთი სარეკომენდაციო წერილი (Support Letter; ინგლისურ ენაზე, პროფესორის ხელმოწერითა და ფაკულტეტის ბეჭდით დამოწმებული);
11. სოციალურ-ეკონომიკური ან/ და ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში);
12. ბაკალავრის დიპლომი და დიპლომის დანართი (სავალდებულოა, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის);
13. მაგისტრის დიპლომი და დიპლომის დანართი (სავალდებულოა, დოქტორანტურის სტუდენტებისთვის);

<u>პერსონალი:</u>

1. ფოტო;
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. პასპორტის ასლი;
4. ცნობა პერსონალის მართვის სამსახურიდან სამუშაოს მოკლე აღწერილობით (ინგლისურ ენაზე ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული);
5. უცხო ენის (ინგლისური ან პორტუგალიური) ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. მხარდაჭერის წერილი მშობლიური უნივერსიტეტიდან (ინგლისურ ენაზე, ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული);
7. მოტივაციის წერილი (ინგლისურ ენაზე, ავსებთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმაში);
8. სამუშაო გეგმა (ინგლისურ ენაზე, ავსებთ ონლაინ სააპლიკაციო ფორმაში);
9. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

<u>სტიპენდიის ხანგრძლივობა:</u>
<u>სტუდენტები</u>: 4 თვე (2024/2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი)
<u>პერსონალი</u>: 5 სამუშაო დღე + 2 მგზავრობის დღე
<u>სტიპენდია მოიცავს:</u>
<u>სტუდენტები</u>: ყოველთვიური სტიპენდია 850 ევროს ოდენობით + ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსება + საერთაშორისო დაზღვევის დაფინანსება

<u>პერსონალი</u>: 160 ევრო დღიური სტიპენდია + ორმხრივი საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსება + საერთაშორისო სამოგზაურო დაზღვევის დაფინანსება

შერჩეულმა სტიპენდიატებმა (სტუდენტებმა) თავად უნდა აანაზღაურონ სავიზო მოსაკრებლის ხარჯები!

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით შემდეგი ელ-ფოსტის საშუალებით: outgoingmobility@tsu.ge

არასრული ან/და დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება!!!

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **დანართი 1**;